<u>არაოფიციალური თარგმანი</u>

CTC/05004/18

საგარეო ურთიერთობების სამდივნო - მექსიკის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (AMEXCID) ტექნიკური და სამეცნიერო თანამშრომლობის გენერალური დირექტორატი მიესალმება მექსიკაში საქართველოს საელჩოს და აქვს პატივი აცნობოს რომ მექსიკის მთავრობის 2019 წლის სასწავლო სტიპენდიები უცხოელი სტუდენტებისთვის განთავსებულია განყოფილებაში - „სტიპენდიები და აკადემიური თანამშრომლობის კურსები", სექციაში - „Acciones y Programas" მთავრობის ერთადერთ პორტალზე, რომელიც მოცემულია შემდეგ ბმულზე: https://www.gob.mx/amexcid/acciones-y-programas/becas-para-extranjeros-29785

საქართველოს მთავრობის მიერ მექსიკის მოქალაქისთვის შეთავაზებული სასწავლო სტიპენდიის გათვალისწინებით, რომელიც ქართული მხარის მიერ შემოთავაზებულ იქნა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების და აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 2018 წლის 2 მაისის N 01/18564 ნოტით, ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე მექსიკა სთავაზობს საქართველოს მოქალაქეს სასწავლოს სტიპენდიას 2019 სასწავლო წლისთვის, მარტის თვიდან, 2019 წლისთვის გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში.

განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 28 სექტემბრამდე. აღსანიშნავია, რომ განცხადებების მიღებასთან დაკავშირებული საქმისწარმოება შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, აკადემიური თანამშრომლობის მართვის სისტემის (Sistema de Gestión de Cooperación Académica (SIGCA)) მეშვეობით ან მატერიალური ფორმით, თურქეთში მექსიკის საელჩოს მეშვეობით.

მექსიკური მხარე მადლობელი დარჩება საქართველოს საელჩოს მიერ ზემოხსენებული ინფორმაციის საქართველოს აკადემიურ წრეებში გავრცელებისთვის.

საგარეო ურთიერთობების სამდივნო სარგებლობს შემთხვევით რათა კვლავ დაუდასტუროს მექსიკაში საქართველოს საელჩოს ღრმა პატივისცემა.

ქ. მეხიკო, 2018 წლის 13 ივლისი

მექსიკაში საქართველო საელჩო